ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №267

ქ. ხულო 21 დეკემბერი 2023 წ.

ერთის მხრივ, ხულოს მუნიციპალლიტეტი (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის ვახტანგ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „კოლექტიკა“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ელენე გიორგობიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვიტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 დეკემბრის N2168 განკარგულების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 13 დეკემბრის N3435 განკარგულების და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 19 დეკემბრის N113 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში პროექტის „ახალი წლის დღეები საქართველოში” ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა, (**CPV79900000; 79952000**) შემდგომში „მომსახურება“.

1.2. მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართი N1 ფასების ცხრილში რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **212873.00 (ორასთორმეტიათას რვაასსამოცდაცამეტი)** ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ავანსის სახით შესყიდვის ღირებულების 100 %-ის ოდენობით, მიმწოდებელის მიერ წარმოდგენილი საავანსო გარანტიის საფუძველზე. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში წარმოადგინოს საავანსო ანგარიშსწორების გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მოწოდების ვადას.

2.4. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი მომსახურების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ მომსახურების მოცულობების ანაზღაურებაზე და მომწოდებელი ვალდებული იქნება დაურიცხოს შემსყიდველს ავანსად ჩარიცხული თანხის შესაბამისი ოდენობა.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს **ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.**

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო

პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
4.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა კონტროლთან დაკავშირებულ ხარჯებს, კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
4.5. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.
4.6. გაწეული მომსახურების შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს **ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური**.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.
ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.
5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
6.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ შეასრულა მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.
ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.
6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %–ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.
7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა
7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1. მომსახურეობის მიწოდების ვადაა **2024 წლის 03 იანვარი.**
8.2. ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს ***2024 წლის 03 მარტის*** ჩათვლით.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გადასახადები და ბაჟები

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. სხვა პირობები

13.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

13.3. ხელშეკრულება იდება ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი კი შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ხულოს მუნიციპალიტეტი	შპს „კოლექტიკა“
მის: დაბა ხულო აბუსერისძე ტბელის ქ. №1	მის: თბილისი, ი. აბაშიძის N3;
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. „თიბისი ბანკი“.
ს.კ 248056311	ს.კ. 405195710
ანგ. №GE24NB0330100200165022	ანგ. №GE72TB7479736020100004
ბ/კ: TRESGE22	ბ/კ: TBCBGE22
ხულოს მუნიციპალიტეტის	შპს „კოლექტიკა“-ს დირექტორი
მერი ვახტანგ ბერიძე	ელენე გიორგობიანი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
khulo municipality Digitally signed by khulo municipality Date: 2023.12.21 15:05:44 +04'00'	Elene Giorgobiani 01008055216 Digitally signed by Elene Giorgobiani Date: 2023.12.21 15:18:35

				დანართი N1
საახალწლო ღონისძიების ორგანიზების ფასების ცხრილი				
#	ღონისძიების კომპონენტები	ერთ. ღირებულება	რაოდენობა	სულ ღირებულება
სცენის მოწყობა				
1	სცენის იჯარა	3400.00	1	3400.00
2	სცენის გადახურვის იჯარა	3400.00	1	3400.00
3	ეკრანის იჯარა (3X5)	3400.00	1	3400.00
4	გახმოვანებით მომსახურეობა	3400.00	1	3400.00
5	სასცენო განათების იჯარა	3400.00	1	3400.00
6	გენერატორის იჯარა	2400.00	1	2400.00
7	სცენის შუბლის ბანერის იჯარა	400.00	3	1200.00
8	სცენის საახალწლო დეკორაცია	2665.00	1	2665.00
სასცენო აქტივობა				
9	ღონისძიების წამყვანი _ ზურა გორგაძე	2500.00	1	2500.00
10	დრამ სკოლის მუსიკალური მსვლელობა	7500.00	1	7500.00
11	ნოდარიკო ხუციშვილი და ბენდი	19600.00	1	19600.00
12	შერეკილები			
13	გიორგი მახარაშვილი			
ღონისძიების სივრცე				
14	მასკოტების მომსახურება	950.00	8	7600.00
15	კოსტიუმირებული თოვლის ბაბუა	1000.00	1	1000.00
16	თოვლის ბაბუას დამხმარე გოგონები	600.00	2	1200.00
17	წამყვანი ანიმატორი, აპარატურით	1200.00	1	1200.00
18	მაგიდის იჯარა	60.00	6	360.00
19	სკამის იჯარა	10.00	30	300.00
20	გამათბობლის იჯარა	70.00	18	1260.00
21	სასაჩუქრე ნაკრები ბავშვებისთვის დასარიგებლად	18.00	300	5400.00
22	საკვები ზონის დასაჯდომი სივრცე	150.00	5	750.00
23	მაგიდების გაფორმება	50.00	10	500.00
თოვლის ბაბუას სახლი				
24	სანტას სახლის და ეზოს მოწყობა შესაბამისი დეკორაციებით გაფორმება	6477.50	1	6477.50

	ტერიტორიის გაფორმება			
25	დეკორატიული ზოლებიანი ინსტალაცია	466.50	16	7464.00
26	ფოტო ზონა - მარხილი	3500.00	1	3500.00
27	ფოტოზონა/დეკორაცია ოთახი	4330.00	1	4330.00
28	ჯიხურების დეკორაცია	417.00	6	2502.00
29	საბავშვო სახელოსნო კარვის მოწყობა	8332.00	1	8332.00
30	საახალწლო გასართობი აქტივობები	3000.00	1	3000.00
31	გირლიანდა განათება	12.00	150	1800.00
32	ფერადი ალმები	4.10	300	1230.00
33	ფოიერვერკი	3000.00	1	3000.00
34	ვორქშოფისთვის მაგიდების იჯარა	60.00	4	240.00
35	ვორქშოფის გაფორმება	1000.00	1	1000.00
36	დაბრენდილი ინევნტარი	40.00	50	2000.00
	კვების ზონა			
37	კვების კუთხე აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით	2500.00	2	5000.00
	ტერიტორიაზე სხვა საჭიროებები			
38	დასუფთავება	900.00	1	900.00
39	დაცვა	800.00	3	2400.00
	საორგანიზაციო ჯგუფი			
40	ორგანიზატორები	2000.00	2	4000.00
41	ლოკაციის მენეჯერი	2200.00	5	11000.00
42	ტექნიკური პერსონალი	1000.00	8	8000.00
43	სამივლინებო ხარჯი	4000.00	1	4000.00
44	ელექტრიკოსი	1000.00	1	1000.00
45	დეკორატორი	2000.00	2	4000.00
46	ღონისძიების მხატვარ/დიზაინერი	3000.00	1	3000.00
47	მონტაჟი/დემონტაჟი	3000.00	1	3000.00
48	დომიკების ტრანსპორტირება	2500.00	1	2500.00
49	სხვა ინვენტარის ტრანსპორტირება	4000.00	1	4000.00
50	ფოტოგრაფი	1699.83	1	1699.83
	ჯამი			**171810.33**
	მომსახურება		5%	**8590.52**
	ჯამი			**180400.85**
	დღგ		18%	**32472.15**
	სულ ჯამი			**212873.00**

შპს ,,კოლექტიკა“-ს დირექტორი ელენე გიორგობიანი